ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №628641

ნომერი: AR1121329

თარიღი : 02.04.2013

გაცემის თარიღი : 05.04.2013

გაცნობის თარიღი : 16.04.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თორნიკე ერისთავი , N1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი ალავიძე პ/ნ 60001018399
- ქუთაისი ზუგდიდის ქ. N 6

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს მსგავსი სახით სარეკლამო აბრების მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. იგი საკმაოდ გადატვირთული სახის მატარებელია და ჭრელი, მიუღებელია ფანჯრის ღიობების (ვიტრინების) სარეკლამო აბრებით ათვისება სასურველია უფრო სადა, დახვეწილი სახით მისი შემუშავება, საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრების გაბარიტების შემცირება, მხატვრულ ვიზუალური ელფერის სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, ასევე აბრებზე მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი და არა გადატვირთული ხასიათის სიმბოლოების განთავსება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია ახალი ფოტომონაჟი, მასალისა და გაბარიტული ზომების მითითებით.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება" გრაფაში უნდა ატვირთოთ ს.ს. "ჩარხი-ხაზი"-ს დირექტორის მინდობილობა ან აღნიშნული პირი უნდა დაარეგისტრიროთ თანაგანმცხადებლის სახით.

"მოთხოვნის ტექსტი"-ს გრაფაში მიუთითეთ სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის ნუმერაცია საკადასტრო გეგმის მიხედვით.

რაც შეეხება ტროტუარზე სარეკლამო კონსტრუქციის მოწყობას, გაცნობებთ, რომ 2009 წლის 6 თებერვლის #2–4 გადაწყვეტილების თანახმად გამოცხადებული აუქციონის საფუძველზე ქ. თბილისში არსებული სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვას მარჯვენა სანაპიროზე გასცემს შ.პ.ს "აუთდორ ჯი", ხოლო მარცხენა სანაპიროზე შ.პ.ს "სმოდ ედვერთაიზინგი", გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან საჭიროა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმართოთ შესაბამის ორგანიზაციას (მისამართი: ვაჟა–ფშაველას გამზ. #45, რუსთავი 2–ის შენობა).

ასევე გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით, მსგავსი ვიზუალიზაციის მქონე სარეკლამო კონსტრუქციის მოწყობა მიზანშეწონილად არ მიაჩნია. საჭიროა მოხდეს მისი დახვეწა/გადამუშავება და გაუმჯობესებული ვარიანტის შემუშავება.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge